ЗОЦЬЕРІ

11

76
97

მუშათა საკმისათვის იყავ მზად!

„პიონერი“

№ 11

საქართველოს ბ. კ. ტ. ცენტრალური კომიტეტის და მანათლებლის სახალხო კომისარიატის ყოველთვიური ჟურნალი

ნოემბერი
1933
ფელიფადი მე-8
რედაქციის მისამართი:
ალმასკომის ქ., № 7.
ხახელგაზი.
საუკავშირო და საქართველო
საკმრი

შინაარსი

		გვ.
1.	მეტეხის დასასრული — ლ. ჭიჭინაძე	1
2.	კოლმეურნის ნაამბობი — ლექსი — ა. მახარაძე	4
3.	ცისკარა — ცქვიტი	4
4.	მეტეხი — ლექსი — კ. ბობოხიძე	8
5.	სამი ბოთლი — ლექსი — ე. აგლაძე	9
6.	ალიოშკა — რიაზანისა და ძია ბელომორის ზღაპარი — ლ. კასილი	10
7.	შემოდგომა ტფილისში — ლექსი — გ. კაკუბიძე	16
8.	შევაერთოთ კასპიის ზღვა... ატლანტის ოკეანესთან — ნ. ქ.	18
9.	მწყემსი ალდი — აკ. გოცირიძე	17
10.	რა უცნაური ცხოველებია! — შ. თ—ლი	20

77 მეტეხის დასასრული 92

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

შუა ტფილისში მეტად თვალსაჩინო ადგილზე ...ის საუკუნეებით გასალკლდევებული საპყრობილე, ...რომელსაც მეტეხს უძახიან. მე პატარაობიდანვე ბევრი რამ მქონდა გაგონილი მეტეხის ციხის საშინელების შესახებ.

არ მენახა იგი, მაგრამ წარმოდგენილი მქონდა ... ტანჯვა-წამება, რომელსაც იქ განიცდიდენ თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები. ამიტომ იყო, როცა პირველად დავინახე მეტეხი, მაშინვე მისი ... ...ლოგანი გულცივი და მრისხანე ცქერა.

— იცი, ჩემო ძმაო, რა იყო მეტეხი?! - უთხრა ...ერთმა ხანში შესულმა მუშამ ახალგაზრდებს, რომ ...ებიც ბოტანიკური ბაღის გადასახედ სერზე იდგენ და მეტეხის ციხეს უცქეროდენ.

—როგორ არა, მეტეხი თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანების სურვილების ჩამკვლელი იყო

— თქვა ახალგაზრდამ, რომელმაც უფროსების გადმოცემით ბევრი რამ იცოდა მრისხანებით ავსილი მეტეხის შესახებ.

— მეტეხი იყო საქართველოს კატორღა, რომელმაც ...ბევრი რევოლუციონერი გამოასალმა სიცოცხლეს. ...ეთი იყო ის მეფის დროს, როცა ქვეყანას სისხლისმსმელი ჯალათები განაგებდენ, და მენშევიკებმაც მეტეხი ისევ მეტეხად დატოვეს.—აგრძელებდა საუბარს გამოცდილი მუშა წყნარი და დინჯი კილოთი.

2

მზე გადახრილი იყო.

შუა ზაფხულის მცხუნვარე მზის გამო ტფილისელი მშრომელები ბაღებში იყვნენ გახიზნული და ...ასვენებლად. ბოტანიკური ბაღის გრილი ჰაერი უხ...ად ხვდებოდა იმ სერს, სადაც სტალინის სახელობის ...ორმონტო ქარხნის რამდენიმე მუშა იდგა და მეტეხის შესახებ საუბრობდენ.

— საშინელი იყო მეტეხი წინათ! შენ ახალგაზრდა ხარ და ეს ამბავი გადმოცემით გაგიგია, მე კი მეტეხის ყოველი ჯურღმული ვიცი. ...ბევრი ვიუკაცობა პირველად მეტეხმა გატეხა, მაგრამ, ...ი, დადგა ბედნიერების წუთები, და უკვე სრულდება მეტეხის მრისხანების ისტორიაც. — ლაპარაკობდა ...ერი მუშა ძველი მეტეხის შესახებ, სადაც უწინ ბორკილები ჟღარუნებდა, ახლა კი მისი ...ცლილების სახლად გადაკეთება გადაწყვიტეს.

— კი, მაგრამ ეგ მართლა განხორციელდება? — იკითხა ერთმა ახალგაზრდამ.

ამ კითხვამ ყველა იქ მყოფი სიცილში გაახვია, მთქმელს კი სახეზე სირცხვილის ალმა გადაურბინა, უცბათ ვერც კი მიხვდა, თუ რად გამოიწვია მისმა სიტყვამ ასე ერთბაშად გაცინება.

— ამხანაგო, რას ლაპარაკობ! განა ექვი გეპარება ამ საქმეში?! ბოლშევიკებისათვის თქმა და გაკეთება ერთია! — უპასუხა ძველმა მუშამ.



ასეთი საუბარი იყო გამართული მაშინ, რაცა მეტეხის ხელოვნების მუზეუმად გადაქცევის შესახებ გავრცელდა ხმა. ამ ამბავმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ტფილისის მშრომელებში. ბევრს არც კი

ულოდა, თუ ეს საქმე მართლა გაკეთდებოდა, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ მეფის ჯალათები თავის ხელისუფლებას მეტეხით ამაგრებდენ, მენშევიკებიც ხომ ასე იყენებდენ მეტეხს, და ზოგს ეგონა, თითქოს ბოლშევიკებისთვისაც ამ მიზნით იქნებოდა მეტეხი საჭირო... .

მაგრამ არა...

მე მეშინოდა მეტეხთან გავლის, იქნებ თქვენც გეშინოდათ, მაგრამ როცა ბოლშევიკები ახალ ქვეყანას ქმნიან, საშიშარი არაფერი რჩება, მხოლოდ გვმართებს ვიაროთ გაბედულად, გვქონდეს სიამაყე და გავხდეთ ახალი ქვეყნის მშენებლობის მონაწილენი.

ადამიანი თავს კმაყოფილად გრძნობს, როცა ის დიდი საქმის მონაწილეა...

3.

წელს 18 ნოემბერი სხვანაირი სიხარულით მოვიდა, ალბათ, იმიტომ, რომ დღეს გაუქმდა ციხე მეტეხი და იქ გაიხსნა ხელოვნების მუზეუმი. ეს უფრო მეტეხში თავისუფლების მაძიებელი ადამიანები [illegible] ეროვნული ფლაგით გმიანდენ და მეტეხი [illegible] მრისხანებით უცქეროდენ მათ, ახლა იქვე [illegible] დაიფარება ხელოვნების უძვირფასესი ნამუშევრებ[illegible] ნი გამოჩენილი მხატვრების შემოქმედებით, დღეის შემდეგ იქ ენახავთ რევოლუციურ ადამიანებს, რომელთა ნებისყოფა მეტეხს უნდა ჩაეკოცა, რომლებიც გულის დარდების გასაქარვებლად მღეროდენ:

„ციხეს რად უნდა რკინის კარები,
მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები...“

ასეთი ლეკური შეიქმნა ოდესღაც ბნელით მოცულ ციხის ჯურღმულებში, და ეს სიტყვები პირველად მეტეხზე ითქმის.

დასრულდა მეტეხის გულცივობის ისტორია...

— მეტეხმა შეუბრალებლად იმსხვერპლა მრავალი რევოლუციონერი ბოლშევიკი და ახლა თვით ბოლშევიკებმა იმსხვერპლეს იგი. მეტეხის რკინის კარები პარტიის ძლევამოსილებამ დაამსხვრია, — თქვა საზეიმო სხდომის ერთმა მონაწილემ.

— ეს ბრწყინვალე საქმე ამხანაგ ბერიას თაოსნობით გაკეთდა, — საუბრობდენ ისინი და თავიანთ გულწრფელ სიხარულს ერთმანეთს უზიარებდენ.

18 ნოემბრისათვის წითელი დროშებით მორთული მეტეხის ციხე ქართული ხელოვნების მუზეუმად გამოცხადდა, და გაქრა უწინდელი მისი მრისხანება.

4

ტფილისი იზრდება ჩვენს თვალწინ. აი, ქუჩები აჩრიალდნებულია და თავისუფლად შეგიძლია შეხედო ახალ მეტეხს, სადაც უკვე შეიპრენ აღმაფრთოვანებელი სიცოცხლის ელემენტები. რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პროლეტარული რევოლუცია მოხდა. საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე შეჩვეულია ახალ-ახალ გამარჯვებებს. განა ადამიანს არ გაგახარებს, როცა უძველესი მეტეხის კედლები მორთულია დროშებით? ფრიალებენ დროშები, ფრიალებენ ისე, თითქოს ახალ მეტეხს ფრთები შესხმია.

— აი, ჩემო ძმაო, შენ ფერების მოყვარული ადამიანი ხარ. შენ გიყვარს ხატვა, და შენი მხატვრული სურათები, რომლებიც მრავალნაირი ფერით ლამაზად იქნება შეზავებული, დაამშვენებს მეტეხს.

მხატვარს მოეწონა ამხანაგის რჩევა. მან ჩაიცინა და თვალწინ უამრავი ფერი უკრთოდა, ის გართული იყო ფიქრში, რომ მას უნდა დაეხატა ისეთი სურათი, რაც ძველი მეტეხის კედლის დამამშვენებელი გახდებოდა.



78 93

ეროვნული ბიბლიოთეკა



— საბჭოთა ხელისუფლება ქმნის ისეთ პირობებს, რომელიც ხელშემწყობი იქნება იმ ადამიანთა შემოქმედების გასაშლელად, რომლებსაც სურთ იმუშაონ სოციალისტური ქვეყნის შექმნისათვის. — მხატვარი სიხარულით ლაპარაკობდა ამ სიტყვებს და მის გულში აღფრთოვანება დაუშრეტელ ნაკადულივით ჩქეფდა.

— არცერთი ქვეყანა კულტურის აყვავებას ისე არ უწყობს ხელს, როგორც საბჭოთა კავშირი. აი, თუგინდ ძველი ტფილისის მკაცრი დარაჯი, რომელიც გულცივად დასცქეროდა უწინ ყარაჩოღლებს და, შემდეგ, ახალი ქვეყნის წინამორბედებს, დღეს უკვე კულტურულ დაწესებულებად გადაკეთდა.

ახალი მეტეხის გამო ყოველი მოქალაქე ასე ლაპარაკობს, ან რატომ არ უნდა ილაპარაკოს, რომელ კაპიტალისტურ ქვეყანას მოუვა აზრად მტკიცეკედლებიანი ციხის ხელოვნების მუზეუმად გადაკეთება! ეს მხოლოდ საბჭოთა კავშირს შეუძლია, რომელიც ახალ ქვეყანას ქმნის, სადაც კლასები აღარ იქნება.

ახალ მეტეხს უცქერიან უფროსები, რომლებსაც ბევრი ტანჯვა მიუღიათ იქ, უცქერიან ბავშვებიც, წითელი დროშები კი ფრიალებენ... წინათ მეტეხი მათ შობლებს ნაადრევად უღრღნიდა რევოლუციურ გულმკერდს, წინათ ის ჯალათებს გამათავისუფლებელი იდეების ჩასაკვლელად ჰქონდათ, ახლა კი მშრომელნი სიხარულით შევლენ ახალ მეტეხში დანახავენ ხელოვნების საუცხოო ნიმუშებს.

წინათ ეს ოცნება იყო, წინათ იმღეროდენ „ციხეს რად უნდა რკინის კარები“, დღეს კი ლამაზი ოცნება სინამდვილედ იქცა და თავისუფლად ვიმღერით:

— ინტერნაციონალში ჰპოვებს შვებას ყველა!

კოლმეურნის ნაამბობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, როდენი
გვქონდა ბრძოლები,
ო, როდენი
ტყეია და სისხლი...
მაგრამ ერთხელაც
არ გვიფიქრია
მცირეოდენიც
დაგვეთმო მტრისთვის.
შეხედე ქედებს...
წარბშეგრეხილი
მამბოხეებს
მისკენ გვიწვევდა,
ვისღა ახსოვდა
სახლი და კარი,
ვისღა ახსოვდა
შვილი და დედა!

*
* *

აი ტყეები,
ტყეები მწვანედ
რომ იყურება
მკერდგადაშლილი,—
იყო ერთგული
მეჭირისუფლე
ბრძოლის სურვილით
გადავარდნილის.
ჩვენ გადავლუნეთ
მჭლე საუკუნე,
წლებს რომ იტევდა
ტანჯვის, წვალების.
იქ, სადაც უწინ
ილვროდა სისხლი, —
დღეს ძმობას თესვენ
„რკინის ხარები“.

*
* *

დღეს ბრძოლის ველი
არის მინდორი,
ტყეის მარაგი—
სათესლე ფონდი,
თოხი შევცვალეთ
კულტივატორით,
ხარ-კამეჩები —
„ამხანაგ“ ხოლტით.

*
* *

ყოველი წუთი
ახალ რწმენას ქმნის,
ჰაე გადიან
წელიწადები,
და თუ ბრძოლები
კვლავ დაგვიძახებს,—
ჩვენც ბარიკადად
აღვიმართებით!

ცაქვიტი

ცისკარა[1]

ექიმმა ბამბა სპირტში უხვად დაასველა და კისერთან ერთ ადგილას იმ ბამბით ზელა და წმენდა დაუწყო ცხენს.

მარეხი უფრო ათრთოლდა. ტოკავს, მაგრამ ექიმს ხელს მაინც არ უშლის.

მსახურმა მახათზე მსხვილი ნემსი, რომელიც წვრილ რეზინის მილზე იყო დამაგრებული, ექიმს გადასცა.

რეზინის მეორე ბოლო ყვითელ სითხეში იყო ჩაშვებული.

ექიმმა სპირტით გაწმენდილი კისრის კანი სამი თითით ზევით აწია და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მსხვილი ნემსი ჩაუყარა.

ემწარა მარეხს და დეზებშემორტყმულივით ძალზე შეტოკდა.

— აა, მარეხ, ჭკვიანად!!

შეუტია რამდენიმე ხმამ ერთად. შემოფარგლული ადგილი აგრილდა.

ატოკდა ლურჯაც. აღარ ისვენებს, ლამის დარაბები დაანგრიოს. სადავეების დაგლეჯას ლამობს. იქაც წატეკა და ყვირილია, დარაბები ძლიერ გრიალებენ.

საწყალ, გამოუცდელ ლურჯას ძლიერ ემწარა ნემსის ჩხვლეტა და ანგრევს იქაურობას.

ლურჯა სიმწარით დუჟეებსა ყრის, დარაბებიდან გადმოხტომას ლამობს, მაგრამ ამაოდ: დარაბებიდან თავს ვერასოდეს ვერ დააღწევს.

როდესაც ორივე ცხენს ნემსები გაუკეთეს და წამალმა კან'ში ჩასვლა იწყო, ნოდარი მაშინ შემოიყვანეს.

ნოდარმა კბილები დაკრიჭა, შუბლი შეიკმუხნა. რამდენადაც ცხენს წამლის ჩაშვებით კისრის კანი ებერებოდა, იმდენად ნოდარს გული უფრო ეკუმშებოდა.

ნოდარი მაშინ გარეთ მოშორებით იყო, როცა ხალხის ყვირილი და დარაბების გრიალი შემოესმა,

[1]) გაგრძელება იხ. ჟურნალ პიონერის მე-5-რ №-ში.



პერმის ხანა. ინოსტრანცევი.

ზოგი მცენარე ნელნელა შეეგუა ხმელეთზე არსებობის პირობებს. ეს მცენარეები ძალიან გავდა წყალმცენარეებს.

შემდეგი პანორამა: ქვანახშირის ხანა. ჭაობი ჭაობში—ღრმა წყალი. ცხელი და ნოტიო ჰაეა. წყლის ორთქლით გაჟღენთილია ჰაერი, და მზე წითლად მოჩანს. აქეა ულრანი ტყე—გვიმრის ტყე...

— გვიმრის ტყე?!—წამოიძახა დათიკომ.

— ჰო, გვიმრის, მაგრამ ახლანდელ გვიმრას კი არა ჰგვანდა, ეს იყო უზარმაზარი გვიმრის ხეები. ტყდებოდა ეს ხეები, ცვივოდა ჭაობში, დაიფარებოდა ლამით, და ბოლოს ისინი ქვანახშირად იქცა..

— ქვანახშირად?—გაფართოებული თვალებით გაიმეორა ნელიმ.

— ჰო, ქვანახშირად. ამ დროს უკვე იყვნენ ცხოველები, რომლებიც წყალში დებდენ კვერცხს, იქიდან გამოტყდებოდენ მურები, რომლებიც წამოიზრდებოდენ და შემდეგ ხმელეთზე იწყებდენ ცხოვრებას. მწერებიც იყვნენ ამ დროს.

— მამა, ეს უცნაური ცხოველები როდისღა იყვნენ?

— მოიცა, გეტყვით. შემდეგი პერიოდია ე. წ. პერმის პერიოდი. ჰავა მაშინ უფრო მშრალი იყო. ბამოფენაზე ხედავთ სილიან უდაბნოს ან ქვეწარმავლებს — ინოსტრანცევი.

— ეს რაღაა, მამა, დათვს რომ ჰგავს?

მამას გაეღიმა.

— სწორედ ეგ არის ქვეწარმავალი. დააკვირდი, სურათზე ორი ინოსტრანცევია. ალბათ ხედავ? მართალია, ისინი ცხოველების მსგავსი ქვეწარმავლნი იყვნენ და, შესაძლოა, სწორედ ეგენი იყვნენ ახლანდელი ძუძუმწოვარი ცხოველების წინაპრები. გვიმრის ტყეები ამ პერიოდში უკვე ქრებოდა...

— ეს რაღაა, პირი რომ დაუღია და კუდზეა დაბჯენილი? ვაი, რამხელა კუდი აქვს!!

— ეგ არის ტრიასის პერიოდის ცხოველი, საშინელი პლატეოზავრი, ხვლიკების ოჯახიდან.

— ხვლიკების?!—წამოიძახა დათიკომ.

— მაშინ არსებობდენ სხვადასხვა სახის საშინელი ხვლიკები და მათი სახელი იყო დინოზავრი (დინოზავრი, რომ გადაკთარგმნოთ, ნიშნავს: საშინელი ხვლიკები).

პლატეოზავრს წინა ფეხები მოკლე ჰქონდა, უკანა ფეხები გრძელი, კუდი უზარმაზარი, და როდესაც იიყალყებოდა, კუდზე იყო დაბჯენილი. მისი სიგრძე 6 მეტრს უდრიდა.

აი ეს პანორამა კი იურას პერიოდს გამოხატავს. ხედავთ, ეს ზღვაა. ზღვაში დაცურავენ იხტიოზოვრები, რომლებიც ზღვის ღორებს, დელფინებს მოგვაგონებენ.

ცოტა ხნის შემდეგ ნოდარი თავისი მამით სხვა უფრო სუფთა და გაწკრიალებულ დარბაზში შეიყვანეს.

აქ წამლის სუნი უხვად ტრიალებდა, რამდენიმე ადგილას მაგიდები პრიალა ყუთებით, შუშებით, კარადები ბამბით და სხვადასხვა იარაღით იყო სავსე.

დიდი ოთახი ორი მხრივ სქელი შუშის კედლით იყო გადატხრული, ჭერიც შუშისა ჰქონდა და კარებიც.

თეთრი მაგიდები შუშის ქილებით სავსე იყო, ზოგ ქილას რეზინის მილები და რეზინისავე საცობი ჰქონდა.

ბევრი ცალიერი ქილა მაგრად იყო თავმოკრული.

ეს ის სტერილიზებული შუშები იყო, სადაც ახლადგამოღებული სისხლი უნდა ჩაეშვათ.

ექიმმა კარი გააღო და შვილი და მამა შემოიპატაჟა, შემდეგ კარი ისევ კარგად მოკეტა.

ერთ კუთხეში მაგიდაზე რაღაცას შალის ნაჭერი თბილად ეხურა. ექიმმა ნაჭერი ახადა.

— აი, გუშინდელი გამოღებული სისხლი დღეს უკვე მზად არის. სისხლი შედედდა, ხედავთ, ქვემოთ სქელად არის დალექილი... ზემოთ მოტივტივებული ყვითელი სითხეა.

აი სწორედ ეს არის ის შრატი, რომელსაც ანტიტოქსინი ეწოდება. ამ შრატს სხვა ქილებში გადავიღებთ, მის სიმაგრეს ლაბორატორიაში გავსინჯავთ და შემდეგ პატარ-პატარა ამპულებში გადავასხამთ, და ზად იქნება.

ექიმმა ქილებს შალის ნაჭერი ისევ დაუფარა.

მამა და შვილი შუშის ოთახიდან გამოვიდნენ.

ნოდარი გზადაგზა მრავალნაირი იარაღით სავსე მაგიდებს თვალიერებდა და გულში რაღაც მოუსვენრობა ფლეთოდა. ამ დათვალიერების დროს ის ფოტოგრაფიულ სურათს წაეწყდა და თავით ფეხებამდის გაწითლდა.

— მამა, აი, მამა, ეს არის ჩემი ცისკარა, ეს ნანი, ეს...

სურათზე თეთრი მაღალი ცხენი ეხატა. ცხენი ისე ლოკსლად იცქერებოდა, თითქოს ეს-ეს არის მაგიდიდან გადმოხტებაო.

— ჰო, სწორედ ეგ არის ჩვენი ლამაზი ცისკარა, აი აქ სხვებიც არიან. ეს სურათები გამოფენისათვის არის გამზადებული, მაგრამ სურათი რად გინდათ, აი ახლავე გამოიყვანენ...

— აბა წავიდეთ!!

— აუ, ცისკარ!

მოესმა ნოდარს საოპერაციო ოთახიდან პირველი ექიმის ხმა. ნოდარი გარეთ შურდულივით გავარდა.

თოვლივით თეთრი ცისკარა განაპირა თავლიდან ფინჯად მოაბიჯებდა.

არც სადავის დაჭერა და არც არაფერი.

უკან მეჯინიბე კმაყოფილებით მოსდევს, ამაყობს, რომ ცისკარა, მისი საყვარელი ცისკარა ყველაზე დიდი, მეტად ლამაზი და დარბაისელია.

სხვა ცხენებიდან მარგალიტივით ერჩევა...

მოდის ცისკარა.. გრძელი და ვიწრო ყელი ლამაზი თავით ამაყად მოაქვს. წმინდა, ნაზი ბეწვი ხავერდივით გადაჭკვრია ჩარგვალებულ ტანს.

ჩამოსხმული ფეხები რითმულად ამიჯვებს, თითქოს გრძნობს თავის სილამაზესო.

ნოდარი ღელავს...

ნოდარი ცისკარას უახლოვდება.

ნოდარს არ ეშინია, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყოს. ბავშვს გულში სიობო უტრიალებს...

ეს ცხენი სიზმარში შეიყვარა.

ეს არის, ეს!!

ნოდარი უფრო მიუახლოვდა...

— ცისკარა, ჩემო ცისკარა... შენ მომარჩინე მე...

ბავშვი გაჩერდა, სიხარულით ანთებულ თვალებში ცრემლები უკრთის... სახე ღიმილით მთლად გაშუქებული აქვს, და ამ ცრემლიანი ღიმილით ცვარნამიან, მზით გახარებულ მინდვრის ყვავილს ჰგავს. ცისკარამ დიდი, ჭკვიანური თვალებით შეხედა და მოგებებული ბავშვის წინ წუთით გაჩერდა.

ერთმანეთს ხარბად უცქერიან.

ცხენი დინჯი, დაფიქრებული თვალებით შესჩერებია, ბავშვი უზომო სიყვარულითა და აღტაცებით შეცქერებს.

— მამა, შენი ჭირიმე, ამიყვანე, მინდა ისე მოვეხვიო, როგორც სიზმარში ვხედავდი! — შეეხვეწა ნოდარი ახლომოსულ მამას და ცხენს ისევ თვალი თვალში გაუყარა.

სიტყვა, კრინტი არავის დაუძრავს...

გარშემო ყველანი მხოლოდ უხერხულად იღიმებოდნენ.

მამამ ნოდარი ხელში აიყვანა.

ბავშვმა გაშალა ხელები და სიხარულით ცისკარას კისერზე შემოეხვია.

ჯერ გატკრინდა, მთლად გაინაბა, ხელებს უფრო ხვევდა, ლამაზ კისერზე მაგრად ეკვრიდა, შემდეგ ხელები აუსვა-დაუსვა, თვალებზე რამდენჯერმე აკოცა. გული ალერსით იჯერა და კისრიდან ისევ მოეხსნა.

— აი, ყოჩაღ, ცისკარ... მოდი ახლა, მოდი...

გამოეხმაურა კარებიდან კიდევ ექიმი.

ცისკარამ ისევ განაგრძო გზა.

მზე იმის წმინდა ბალაში ნაზად ბრწყინავს.



ციკარამ იცის თავისი ალაგი, მივიდა და დადგა. იმას თავს არ უბოჭავენ.

ექიმმა იმასაც ლამაზად მოღერებულ კისერზე სამართებელი დაუსვა, ერთ პატარა ადგილას ნაზი ბალანი სუფთად გადაფხიკა და გამოხარშული ნემსი იმასაც მძლავრად ჩასცა.

აი ახლაც მეოთხე ქილას ავსებს.

თოვლივით თეთრი ციკარა მარმარილოს ქანდაკებასავით დგას უძრავად ერთ ადგილას.

ნოდარიც იქა დგას, უკვირს, რომ ქილა ციკარას სისხლით ისე სწრაფად ივსება.

გული სიყვარულით აქვს ავსებული, დგას და გაგუწ.ეტლივ ციკარას დიდ თვალებში მიშტერებია.

ქილა აივსო, ექიმს ცალი ხელით კოლოდიუმში დასველებული ბამბა უჭირავს, მეორე სელით ნემსი გამოაძრო და ბამბა ნანემსარ ადგილს დაადო. სისხლი შეწყდა.

გმადლობთ, ციკარა, თავისუფალი ბრძანდები!

ეუბნება ექიმი, თითქოს მართლა ესმოდესო.

ციკარა გამოტრიალდა.

ისევ ამაყად მოაქვს კისერი და ახლა კი მსუბუქი კუნტრუშით მზის გულზე თავის მომვლელს ეთამაშება.

— მერე, მამა, ხომ მოკვდა, მაგდენი სისხლი რომ გამოუშვეს?!—გზადაგზა ეკითხება ნოდარი მამას.

— არა, ნოდარ, მოკვდება კი არა, პირიქით, ცხენებს როცა ნავარაუდევ სისხლს უშვებენ, ისინი თითქოს ახლდებიან. იმ სისხლს კარგი კვებით ორ დღეში შეიძენს.

— უჰ, დედა, დედა... ოთხი ქილა სისხლი. განა ბევრი არ არის?! ხომ ცოდოა?!

— ეგ ოთხი ქილა სისხლი სულ 8-9 ლიტრია, მაგისთანა დიდ ცხენს ერთ დღეში 15 ლიტრა სისხლის მოცემა შეუძლია, მაგრამ ამ 15 ლიტრს ერთად არასოდეს არ უღებენ. პირველ დღეს მხოლოდ 8-9 ლიტრს ამოუღებენ, მერე სამ დღეს ასვენებენ და შემდეგ დანარჩენს ამოუღებენ.

— ო, ო, ჩემი ციკარა... მშვენიერი, დიდთვალა ციკარა. მამა, ის არასოდეს არ დამავიწყდება, სულ მუდამ მეყვარება, მუდამ...

— იცი, ნოდარ, მაგაზე კარგი ცხენები და უფრო ბევრი აღბულადში ჰყავთ.

— ხომ წამიყვან, მამა, შენი პირიქე, იქაც წამიყვანე, ჩემო მამა!

— ჰო, როგორ არა, წაგიყვან, მაგრამ ახლა კი არა, გაზაფხულზე. აი, როცა ყვავილები აყვავდებიან, ერთი კარგი ეკსკურსია იქაც გავაკეთოთ.

მარტო შენ კი არა, მთელ სასწავლებელს წავიყვან, რომ თავისი თვალით ნახონ, რა დიდი საქმე კეთდება და რა დიდი ღვაწლს გვდებენ ჩვენ პირუტყვები...

კალე გოგოლიძე

მეტეხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბრალულით
შუბლს არ შეხრის
მოდუდუნე მტკვარი,
რომ გაეტეხეთ
გაუტეხი
ციხე — რკინის კარი!

მეტეხს
მეხად დავატეხეთ
რისხვა მდელვარ ქარის,
მშრომელთ
სისხლის მსმელი ციხე
ახლა ვნახეთ მკვდარი...

მახსოვს,
როცა ჩამოვტეხეთ
მის სამრეკლოს ჯვარი
და აღმართეთ
უფრო მაღლა
დროშა წითელ ჯარის.

და...
იმ დღიდან ცოდვით სავსე
იქ მდვდელი არ წირავს,
ზიარების შხამს
არ ასმევს
ბედით განაწირავს...

მოძმემ
სისხლი აქ დაღვარა,—
იგონებდა სილვა.
— მეც აქ ვმჯდარვარ
და ქაღარით
ასე შევმოსილვარ!

ჩვენ
გვჩაგრავდა სიმაღლე და
ეგ პიტალო სალი,
მაგრამ
რწმენას გვიმაგრებდა
ლენინი და სტალინ!

— ციხეს
სძულდა განახლება
და შევმუსრეთ ძალით,
მის სიბნელეს
გვანახებდა
მკვეელი, ხიშტით მდგარი.

ტყვემ
ნაპირი გადაცურა,
და გადარჩა მსხვერპლი;
დაანგრია
ვაჟკაცურად
ციხე — რკინის კერპი...

დღეს
ლენინურ აზრს ვერ აღრჩობს
მენშევიზმის ხელი;
ოცნების ზღვას
ვეღარ აშრობს
მეფე — სისხლის მსმელი!

„მებრძოლთ მტერი“ —
ჩვენ გავხადეთ
აწ კულტურის კერად!
ეუმღერით და
განახლებულს
არ ვიგულებთ გერად!

„ხელოვნების მუზეუმი“,
ისტორიის კერა;
საქართველომ
იზეიმა,
ლხენით დაიმღერა!

კომკავშირულ
ჰანგს მღერიან
კომუნები ველად,
ბელად სტალინს
და ბერიას
ვესალმებით ყველა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერთა შეკრებაზე
დავალება მისცეს ანოს,
რომ ხელისთვის სამი ბოთლი
კოლექტივში მიიტანოს.

ამიტომ სთხოვს ანო დედას
გადახედოს ყველა თაროს
და ბორჯომის სამი ბოთლის
მოძებნაში დაეხმაროს.

დაფაკურდენ... აფუსფუსდენ...
ანოს მოსდის ღვარად ოფლი...
მაგრამ ბოლოს, როგორც იყო,
შეაგროვეს სამი ბოთლი.

მეორე დღეს მხიარული
სკოლისაკენ გაეშურა,
თან წაიღო სამი ბოთლი
ღიღინით და მამაკურად.

მაგრამ უცბათ ფილაქანზე
აუკურდა ანოს ფეხი,
და ღიღინის ნაცვლად ირგვლივ
„ჯახ!“ გაისმა, როგორც მეხი...

დაეცქერდა ბოთლის ნამსხვრევს
დაღვრემილი ჩვენი ანო...
მაგრამ სჯობს, რომ ორი მაინც
კოლექტივში მიიტანოს.

და გასწია სკოლისაკენ...
არც ღიღინებს, აღარც ანცობს,
ფიქრობს მხოლოდ, თუ ეს მარცხი
მან ხელმძღვანელს როგორ ამცნოს.

ლ. კასილი

ალიოშკა—რიაზანისა და კია გელომორის ზღაპარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ზღვები და მათ შორის იყო გრძელი მფა.
ცხოვრობდა ორი მეზობელი და მათ შორის იყო გრძელი დავა.

I

ზღვებს ერქვა თეთრი და ბალტიის. მეზობლები კი იყვნენ მხატვარი ქალი, კეთილი ადამიანი და სამხედრო კომუნისტი, კაცი სასტიკი. დავობდენ ისინი საღებავების შესახებ. მხატვარს უყვარდა მხოლოდ ალერსიანი ფერები და ნაზი საღებავები. მას უყვარდა ვარდისფერი და ცისფერი. მას უყვარდა ვერცხლისა და ოქროს ფერი. სხვა ფერის საღებავები კი მას დასანახავადაც არ უნდოდა.

ოხ, თავიდან მომაშორეთ ჩქარა ეს უხეში ნაცრისფერი! წამოიძახებდა ის და თვალებს ხუჭავდა, რომ არ დაენახა.

სამხედრო კომუნისტი კი ხედავდა და იცნობდა ყველა საღებავს, რაც კი ცხოვრებაში მოიპოვება. მას უყვარდა მტრედისფერი ცა და მწვანე ბალახი, პიონერების წითელი ყელსახვევები და მათი ვარდისფერი ლოყები. მაგრამ მას აგრეთვე უყვარდა თავისი მაზარის უხეში ნაცრისფერიც და სუნიანი შავი საღებავი, რომლითაც ასოებსა და წიგნებს ბეჭდავენ.

მხატვარი თავის ოთახში მთელ დღეს ლამაზ სურათებს ხატავდა. იგი ხატავდა მტრედისფერ ცას და ვარდისფერ განთიადს, ოქროსფერ მინდერებს და ვერცხლისფერ მთვარეს.

ამ დროს ის ისე გულაჩუყებული იყო, რომ თვალებიდან ცრემლები ჩამოსდიოდა. ცრემლები ჩამოსდიოდა და ეწვეთებოდა პირდაპირ საღებავში. და საღებავი ხდებოდა თხელი, მეტად თხელი. მხატვარი, საზოგადოდ, ძალიან მტირალა იყო. მაგრამ არაფრის გულისათვის ამაში არ გამოტყდებოდა. „ახ, რას ამბობთ, არაფერი ამის მსგავსი,—ამბობდა ის,—მე სრულიადაც მტირალა არა ვარ. მე კეთილი ადამიანი ვარ და ვტირი მხოლოდ სამ შემთხვევაში: ერთი—სევდის გამო, მეორე—სიხარულის. მესამე კი—როცა არც სევდაა და არც სიხარული. მაშინ მე ვტირი იმიტომ, რომ მოწყენილი ვარ. სხვა არაფერი.

სამხედრო კომუნისტს კი, მართალია, თავის სიცოცხლეში სამჯერ უტირია. მან იტირა პირველად, როცა პატრონმა, მეწაღემ, ის, პატარა, ქუჩაში გამოაგდო. მეორეჯერ მან იტირა სამოქალაქო ომის დროს, როცა სახადით ავად გახდა, ადგომა უნდოდა, მაგრამ მუხლები მოეკეცა. და მესამეჯერ ატირდა სამხედრო კომუნისტი, სასტიკი კაცი, როცა ლენინი გადაიცვალა. სხვა არაფერი. მოწყენის დრო მას კი არა ჰქონდა. იგი დღე და ღამე მეცადინობდა მწვანე მაღალ სახლში. ეს სახლი შუა მოსკოვშია ლუბანის გორაკზე. და იქიდან მოჩანს, როგორც მეხანძრისათვის კოშკში, საბჭოთა მთელი ქვეყანა. და იქიდან თვალყურს ადევნებენ, ცუდი ადამიანები ხომ არაფერ საენოს გვიმზადებენ, ხომ არ აპირებენ მტრები ჩვენს საზღვრებზე თავდასხმას. ამ სახლს გპუ ეწოდება. ადამიანები მასში დღე და ღამ დარაჯობენ. დღე და ღამ მზად არიან. და მათ ჩეკისტები ჰქვია.

— მე კეთილი გულის ადამიანი ვარ, თქვენ კი სასტიკი კაცი,—ეუბნებოდა მხატვარი კომუნისტს,—თქვენ ჩეკისტი ხართ, თქვენ—გპუ ხართ.

და ისინი მუდამ დავობდენ. მხატვარი იცნობდა მარტო ტკბილს. ჩეკისტ-კომუნისტს კი მწარეც გაესინჯა. მხატვარი ხატავდა მარტო სინათლეს. ჩეკისტი კი ჩრდილებსაც ამჩნევდა.

მაგრამ მთავარი დავა მათ აუტყდათ ალიოშკას, მეტ სახელად რიაზანის, გამო.

II

ალიოშკა რიაზანიდან იყო, უპატრონო. დედამამა მას სამოქალაქო ომის დროს დაუხოცეს. საბავშვო სახლიდან კი ალიოშკა გამოიპარა, მოცხარის ფაფის გამო გაჯავრებული იყო. ალიოშკას ძლიერ უყვარდა რძიანი ფაფა. იგი მას ნელნელა ჭამდა და ნებივრობდა. იგი ამოჭამდა ფაფას ლამბაქის ორი მხრიდან და ამოკმეულ ადგილებში რძეს ასხამდა. შუაში კი რჩებოდა ფაფის ტიხრი. ალიოშა მას სულ ბოლოს ჭამდა. ბავშვებმა დიდი ხანია ივახშმეს, პირი მოიწმინდეს და დასაძინებლად წავიდენ, ის კი მარტო ზის თავის ფაფასთან. ზის და ცელქობს... გამგე აჩქარებდა მას და რძეში ფაფის ასარევად, კოვზს ართმევდა. ალიოშა ყვიროდა:

82 97

— ნუ არღვევ! ნუ არღვევ, ეს ჩემი ჯიბირია!

და ჩხუბობდა. ერთხელ ის ისე გვიანამდის უჯდა თავის ფაფას და ისე ხმამაღლა ყვიროდა ნუ არღვევ, რომ ბაბუშვები გამოაღვიძა. ბავშვები შეშინდნენ. გამგემ ალიოშას ლამბაქი წაართვა. მაშინ ალიოშა მის ჯიბრზე საბავშვო სახლიდან გაიპარა. დარჩა იგი უპატრონოდ. მას ალიოშკა-რიაზანი დარქვეს.

ერთხელ, გამოსასვლელ დღეს, კომუნისტი-ჩეკისტი და მხატვარი მოსკოვში სეირნობდნენ. სეირნობდნენ ისინი და დავობდნენ. ისინი დავობდნენ დარის შესახებ. მხატვარს მხოლოდ წყნარი დარი მოსწონდა, ჩეკისტს კი ქარიანი დარი უყვარდა და გაცივების არ ეშინოდა. და აი აქ მათ გამჭრელი უპატრონო ბავშვი დაინახეს. ეს იყო ალიოშკა. იგი ლაფში იჯდა. ფაფა მას ახლა აღარ ჰქონდა. ალიოშკა ლაფიან გუბეში ცოდვილობდა. ის პირდაპირ ხელებით ხარიდა მიწას და სავუბარ ჯიბრებს აკეთებდა.

— ახ, რა საშინელია!— დაიყვირა მხატვარმა.— იგი მთლად შავია, ჭუჭყიანი! მე არ შემიძლია მისი ცქერა...

— ის შრომის კომუნაში უნდა გავგზავნოთ,—თქვა ჩეკისტმა.—მას იქ დაბანენ. ეი, მეგობარო! რა გქვია? ალიოშკა? რიაზანი? მეზობლები ეყოფილნართ. მეც რიაზანელი ვარ. გამომყევი, ძმობილო...

— აქედან დამეკარგე, – წაიბურტყუნა ალიოშკამ. სულერთია, მაინც გავიპარები!

— ახ, როგორ არ გესმით, თქვენი მას ეშინია!— წამოიძახა მხატვარმა.—თქვენ სასტიკი კაცი ხართ, მისთვის კი კეთილი გულია საჭირო. მე მას თქვენ არ დაგანებებთ. მე მინდა ის ჩემთან დავაბინაო. მას ისეთი ცისფერი თვალები აქვს... მხოლოდ ვინმემ დაბანოს ის, რომ გახდეს ვარდისფერი, ვარდისფერი.

და მხატვარმა დააპირა ალიოშკასთან ახლოს მისვლა. მან მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადადგა...

— ნუ არღვევ!— დაუყვირა ალიოშკამ.—ვერ ხედავ, ფეხს სად ადგამ! აქ ჯიბირია.

— გამიგონე, ბიჭუნა,—ალერსით უთხრა მხატვარმა.—გინდა ჩემთან იცხოვრო? ჩემთან კარგად იქნები. მე შენ სურათებს დაგიხატავ.

— მერე, თუთუნი გაქვს?

— რას ამბობ, ალიოშა, ეს როგორ შეიძლება... როგორ არ გრცხვენია თუთუნის წევა!

— თავიდან მოშშორდი...

აი, როგორი უხეში იყო ეს ალიოშკა! მხატვარი ატირდა. ალიოშკას ის შეეცოდა.

— მაშინვე აღრიალდა,—თქვა მან,—უბრალოდ ცრემლებს თვალებში რას იგუბებ... კარგი, წამოვალ. ფაფას მაჭმევ?

აი საიდან დაიწყო დიდი დავა. ჩეკისტი ამბობდა: „ეს სახელმწიფო საქმეა, ალიოშკა უთუოდ უპატრონო ბავშვების კოლონიაში უნდა გავგზავნოთ, იქ მას დაბანენ და მუშაობას ასწავლიან. ეს იქნება ლენინური საქმე. ლენინი სწორედ ასე ამბობდა. „რესპუბლიკაში არ უნდა იყვნენ გაუბედურებული უპატრონო ბავშვები, უნდა იყვნენ ახალგაზრდა და ბედნიერი მოქალაქეები“. აი, რას ამბობდა ლენინი. ბედნიერი კი იქნება მხოლოდ მუშაობაში. მაგრამ მხატვარი არაფრის გულისათვის არ ანებებდა ალიოშკას, ის ამბობდა, რომ თვითონ გამოზრდის მას.

ალიოშკა მხატვართან დაბინავდა. იგი ჭამდა ფაფას, პირის დაბანა კი არ უნდოდა. პირისსაბანიდან წყალს იატაკზე ღვრიდა. დაღვრილი წყლიდან თითით გუბეებს აყენებდა და ზედ ხიდებს აგებდა. ერთ შშვენიერ დღეს, როცა მხატვარი კოოპერატივიდან დაბრუნდა, მას შინ აღარ დახვდა არც ალიოშკა, არც ცისფერი საღებავი და არც ვარდისფერი: ალიოშკას ის გაექურდა და გაპარულიყო.

მხატვარმა მაშინვე ტელეფონით დაურეკა ჩეკისტს. „ახ,—ტიროდა იგი—დაიჭირეთ ის, დაიჭირეთ! რა უმადური ბიჭი ყოფილა. ახლა მე ხატავ აღარ შემიძლია. მან მომპარა ცისფერი და ვარდისფერი საღებავები. ახლა ყველა ნახატი შავი გამომიდის!“

და ის ტელეფონის მილში ისე ტიროდა, რომ სინესტე სადენებში გავიდა და მალე ჩეკისტის მაგიდაზე, სადაც ტელეფონი იდგა, ცრემლის გუბე დადგა.

III

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ალიოშკას შესახებ არაფერი ისმოდა. ერთხელ ჩეკისტი გვიან საღამოს ავტომობილით შინ მიდიოდა. კუთხეში მან შენიშნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრაზებული ბრძო. ქურდი დაეჭირათ. ქურდის ცემას აპირებდენ. ვიღაცამ კიდევ მუშტი ამართა დასაკრელად. ჩეკისტი მანქანიდან ჩამოხტა და ამორთული ხელი დაიჭირა.

— ცემა არ გაბედოთ!

— ეს, სასტიკი კაცია, ჭურდის ჭკუის სწავლებას კი არ გვანებებს.

— ჩვენ სხვანაირად ვასწავლით. — სასტიკად წარმოთქვა ჩეკისტმა. გამომყევი, მოქალაქე, და მან წაიყვანა ქურდი. ბ-ბო ხალხი ბრძდა, ქურდი კი კანკალობდა.

— გამიშვით, — უთხრა ქურდმა, — მე ახალგაზრდა ბიჭი ვარ, აწი აღარ მოვიპარავ. — ჩეკისტმა შეხედა ქურდს, და მათ ერთმანეთი იცნეს.

— აი, თქვა ჩეკისტმა, — ჩემს მეზობელს შეეხვედი. ეს, მეგობარო ალექსი, აი როგორი გამხდარხარ. ცუდადაა შენი საქმე.

— მერე რა, უთხრა ალიოშკამ.

— რატომ გაიპარე მაშინ? ჩემთან მოსულიყავი და კომუნაში გაგგზავნიდი სასწავლად. აბა, ნახე, სად არიან შენი ამხანაგები. იყო სერიოჟა-ქურდი, ახლა კი ის ინჟენერია, სერგო. იყო პავლიკი-ქურდბაკაცა, ახლა პავლე მფრინავია. იყო ნიკოლკა-მათხოვარი, ახლა — ნიკოლოზ მსახიობი. იყო ვასიუკი-მაჩხუბარა, ახლა ექიმია, ვასილ ივანეს ძე. შენ კი, ალიოშკა — რიაზანი, ახლა ქურდი ალექსი ხარ.

— მერე რა, — უთხრა ალიოშკამ, — მე ბურჟუებს ვპარავდი.

— ჩვენ ბურჟუები არა გვყავს. შენ თავისიანებს ძარცვავდი. შენ შენსავე ქვეყანას პარავდი. მოგონებაც პირდაპირ საზიზღარია.

IV

ასე უთხრა ჩეკისტმა. ალიოშკას არაფერი უპასუხია. ჩეკისტმა ის გბუ-ში მიიყვანა. ჩეკისტმა ის თავის კაბინეტში შეიყვანა. ჩეკისტის კაბინეტში დიდი რუკა ეკიდა. რუკაზე ორი ზღვა იყო, და იმ ორ ზღვას შუა — ნახევარკუნძული.

— აი, შენ წახვალ, ალექსი, დათვის მთაზე საგუბარის გასარღვევად. ეს ზენი ფაფა კი არაა, ეს ძალიან სერიოზული საქმეა! იქ შენ ნამდვილ ჯებირებს გააკეთებ, ნამდვილ არხს გათხრი, რომ ჩვენი გემები პირდაპირი გზით ერთი ზღვიდან მეორეში გავიდეს. ახლა კი მათ ძალიან შორი გზა აქვთ შემოსავლელი.

— მერე რა, — ჩაიბურტყუნა ალიოშკამ, — სულერთია, მე იქიდანაც გავიპარები!

— ვერ გაიპარები, მე შენ კაცად ვგულობ.

— განა ახლა კი კაცი არა ვარ?

— ჯერ არა, — უთხრა ჩეკისტმა და რუკასთან მიიყვანა.

— აი, შეხედე, ეს სკანდინავიაა. ეს კუნძული კი არაა, ნახევარკუნძულია. შენ კი ჯერ კაცი კი არა, ნახევარი კაცი ხარ!

ალიოშკა რიაზანი დათვის მთაზე გაგზავნეს. ალიოშკა გაგზავნეს ზღვების გასარღვევად. მატარებელმა ალიოშკა შორეული ჩრდილოთ-ისკენ წაიყვანა, ცივი ტბებისაკენ, მაგრი კლდ-ებისკენ, დაბურული ტყეებისაკენ. ღამით ვაგონში ალიოშკამ საშინელი სიზმარი ნახა. მან ნახა, თითქო ფრინველები და მხეცები მის შესახვედრად მოისწოფოდენ, შეშინებული ფრინველები და მხეცები. მორბოდენ მელიები და მოტრიალენ კუნძულები. მოფრინავდენ ბუები და ყვავები. მათი მძიმე ფრთების შემოკნეესაგან ქარი ქროდა. „ვისაც შეგიძლიათ, თავს უშველეთ“ — ყვიროდენ მხეცები. — ალიოშა, თავს უშველე, — წრიპინობდენ ჩიტები. — დათვის მთისთან საშინელი ქექეუხლია. ღრუბლებიდან ქვები ცვივა. მდინარეები ყალყზე დგება. კლდეები სარძევე კბილებივით ირყევიან, ტყეები გენს აძლევენ, და მიწა ცამდის ადის.

ალიოშკას შეეშინდა და კინადამ გამოეღვიძა. მაგრამ აქ მან მხიარული ხმა გაიგონა:

— ალიოშა, ნუ გეშინია! მხდალებს ნუ უჯერებ. თამამად გასწი წინ და გაარღვიე ზღვების საგუბარები. შენთვის პატიოსანი გზა გაიკაფე და ზღვიდან ზღვაში პირ დაბირი გზა გაგვიხსენი.

ამას ამბობდენ თევზები, მუნჯი თევზები. თევზები ნაპირებს აწყდებოდენ, ვერცხლისფერი თევზები მხეცებისაკენ მოცურავდენ.

ალიოშკა დათვის მთაზე მოიყვანეს. აქ იყო ბანაკში. ბანაკში ცხოვრობდენ ყოფილი ქურდები და უწინდელი ავაზაკები, მაგნებლები და ძველი ბურჟუები, გუშინდელი ხულიგნები და საბჭოთა ქვეყნის სხვა მტრები. გარშემო ტყე იყო. ცა დაღვრემილად გამოიყურებოდა. ერთიმეორეზე ლოდები ეყარა, ცოდა. ყარაულები არ იყენენ. მაგრამ ყველგან მუშობის ხმაური ისმოდა. მუშაობა გრგვინავდა ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდის, ზღვიდან ზღვამდის. მუშები ნაჯახებით შედიოდენ ტყეში, და ტყე მათ

ბას უცლიდა. ადამიანები გრანიტის კლდეებს აფეთქებდენ, და ანაყარი მიწა ცამდის უწევდა. ადამიანები ქვის კლდეში არხსა თხრიდენ, რომ ზღვები შეეერთებიათ. ისინი ჯებირებს აშენებდენ, რომ წყალი განზე არ გადადგრილიყო.

— არ მინდა მუშობა, გავ-პარები, — გაიფიქრა ალიოშკამ და იქით-აქეთ გაიხედა. ეშმაკი ყარაულები დამალულან, არა ჩანან. როგორც კი გაიქცევი, ჯაგებიდან მაშინვე სროლას აკიტეენ.

და ამის შესამოწმებლად ალიოშკა ტყეში გაიქცა. იგი მირბოდა და უკან იხედებოდა, მაგრამ მას არავინ დასდევნებია, მას ყურადღებაც კი არავინ მიექცია. ყველა თავისი მძიმე სამუშაოთი იყო გართული. ყველა მუშაობდა. ალიოშკას საწყენადაც კი დაურჩა, რომ მას არ დარაჯობენ, რომ ის არავისაც კი არ ეჭირვება. მოწყენილი წავიდა ბანაკში. მას წინ შეხვდა ძია ბელომორის ბრიგადა. ძია წინეთ სახელგანთქმული ავაზაკი იყო. იგი გემებს ძარცვავდა და გაქანებულ მატარებლებს აჩერებდა, მაგრამ ახლა იგი დამკვრელი აღმზრდელია.

— ეი, რიაზანელო, შენ რატომ არ მუშაობ? — ჰკითხა ალიოშკას ულვაშებიანმა ძია ბელომორმა. — ვინც არ მუშაობს, ჩვენთან მას „სველი ქათმის“ ორდენს აძლევენ.

— მერე რა! არ ვიმუშავებ, — უთხრა ალიოშკამ. — რატომ არავინ მდარაჯობს? მე ხომ შემიძლია გავიპარო.

— ვერ გაიპარები! შენ სიტყვა გდარაჯობს.

— რა სიტყვა?

— ლენინის.

— მე ლენინისათვის არავითარი სიტყვა არ მიმიცია.

— სამაგიეროდ ლენინმა ჩვენ ყველას სიტყვა მოგვცა, რომ ჩვენ ბედნიერი მოქალაქეები ვიქნებით. განა შენ ლენინს არ უჯერი? განა შენ არ გინდა ბედნიერი იყო?

ძია ბელომორმა უამბო, რომ მის ბრიგადაში ოცდათორმეტი ბიჭია არხარმიელი, ოცდათორმეტი ყოფილი ქურდბაცაცა და უპატრონო. წინათ მათაც უნდოდათ გაპარვა, ახლა კი ისინი საუკეთესო ჯებირს აშენებენ და მათ ყველა პატივსა სცემს.

— წამო ჩვენთან, ოცდამეცამეტე იქნები, — უთხრა მას ყველაზე უფრო პატარამ, ძია ბელომორის ოცდამეთორმეტე დამკვრელმა.

— არ წამოვალო, — უნდოდა ეთქვა ალიოშკას, მაგრამ ძია ბელომორის ბიჭები ისე მედიდურად უცქეროდენ ალიოშკას, რომ მას მოუნდა მათთვის ეჩვენებინა, თუ როგორი მუშაა ის, ალიოშკა.

— მერე რა, — უთხრა მან, — წამოვალ, რაშია საქმე!

თავისთავად კი გაიფიქრა: „მე მათ მხოლოდ დავუმტკიცებ, რომ ნამეტანად არ გაამაყდენ, მერე კი, სულერთია, გავიპარები.

და ბრიგადა ჯებირზე წავიდა. ისინი მღეროდენ ოცდაამეტ ხმაზე:

ზღვების დასაგუბებლად
მოვდგეთ ბრგე ბიჭები,
ოცდაამეტი გმირი —
ყველა ბრიგადირები.
მათ წინ უძღვის ყოფილი
ქურდი, დიდად ცნობილი,
ახლა პატიოსანი
ბიძია ბელომორი...

„მე მათ ახლავე დავუმტკიცებ, თუ როგორი მუშა ვარ“, — თქვა ალიოშკამ და თვალის დახამამებაში უშველებელი მორი გარანდა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში თითოეულმა ბრიგადირმა სამი მორის გარანდვა მოასწრო. „მაშ ასე, — თქვა ალიოშკამ, — კარგი“... — და მანაც სამი მორი გარანდა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში დამკვრელებმა ცხრა-ცხრა მორი გარანდეს. ალიოშკა ცდილობდა ძია ბელომორის ბიჭებს არ ჩამორჩენოდა. მას უნდოდა მათთვის დემტკიცებია, როგორი მუშაა ის, თუ კი მოინდომებს. მეათე დღეს მან თავის ამხანაგებს გაუსწორა, და ყვე-

ლა აქებდა მას. „ყოჩაღ, რიაზანელო“,— ეუბნებოდა ძია ბელომორი და ამის შესახებ ჩეკისტს მისწერა.

— ახლა ხომ დავუმტკიცე, შეიძლება გაპარვა, — გადაწყვიტა ალიოშკამ, მაგრამ როგორღაც გადაიფიქრა, გაპარვა აღარ მოუნდა. ძალიან საინტერესო იყო, თუ როგორი ჯებირი გამოვიდოდა მისი მორებიდან.

ჯებირი კი სწრაფად იზრდებოდა, და ალიოშკას ეჩვენებოდა, თითქო მასთან თვითონაც იზრდებოდა. სამუშაო ძნელი იყო. უქირდა მუშობა. მაგრამ ეს ხომ უფრო საინტერესო იყო, ვიდრე ფაფის ჯებირი და რძის საგუბარი.

V

ბანაკში ცხოვრობდა ერთი ცუდი კაცი, სახელად მოქალაქე კონტრიკი. „არ მინდა ბედნიერი მოქალაქე ვიყო, ძალათ კი ასეთად ვერ გამხდით, — ასე ამბობდა კონტრიკი და მთელი დღე ლოგინში გორავდა. იგი მღეროდა მოსაწყენ სიმღერას ძველი ცხოვრების შესახებ, ხვრინვით მთელ ბანაკს აყრუებდა. ალმზრდელებს უხეშად ექცეოდა და ამხანაგებს ეჩხუბებოდა. იგი მუშობაზე უარს ამბობდა. ის იყო „უართქმელი“. იგი „სველი ქათმის“ კავალრად ჩაწერეს.

კონტრიკს ბანაკიდან გაპარვა უნდოდა. ის ალიოშასაც ურჩევდა გაპარვას. იგი იწვევდა მას თბილი ქვეყნებისაკენ. მაგრამ ალიოშას გაგონებაც არ უნდოდა. კონტრიკმა მაშინ აი რა ოინი უყო. ერთხელ ალიოშას თავი ასტკივდა. კონტრიკმა ალიოშას მისცა სასუნებლად რაღაც საიდუმლო ტაბლეტი მართობელა ფხვნილი. ალიოშამ თავი ვერ შეიკავა, უყნოსა და მთვრალივით შეიქნა. მას თავბრუ დაესხა და ფეხები დაუსუსტდა. იმ დღეს ალიოშა ძალიან ცუდად მუშაობდა. ის მას აკეთებდა, რაც საჭირო არ იყო, ძია ბელომორის უხეშად ექცეოდა. მან გააფუჭა ჯებირის კუთხე. მას სთხოვეს წასულიყო, მაგრამ იგი არ მიდიოდა. ბრიგადა მისი წყალმით სხვებს ჩამორჩა. ალიოშას „სველი ქათმის“ ორდენი ჩამოჭკიდეს. როცა ალიოშა გამოფხიზლდა და ეს სამარცხვინო ორდენი დაინახა, სირცხვილისა და წყენისაგან ატირდა.

— აი, ხედავ, — უთხრა კონტრიკმა, — ახლა ჩვენ ამხანაგები ვართ. ნუღარ მამლაყინწობ, „სველი ქათმის“ კავალერო. ამის შემდეგ შენ კიდევ მოიცდი აქ!

ალიოშამაც გადწყვიტა ყველას ჯიბრზე გაპარვა. ისინი გაიპარნენ ღამით. ღამე კი მთლად შავი იყო. ღამე ქარიანი იყო. ქარი მოაგორებდა ტალღებს მოუთავებელი ჯებირისაკენ. ალიოშა დაკარგეს. ბანაკიდან ჩუმად გაიპარნენ. ალიოშას აუცილებლად მოუნდა თავისი ჯებირის ნახვა. ის ისე ფართე იყო, ისე მაღალი, ისეთი ლამაზი... და უცებ შენიშნა, რომ ტალღებს გადაერცხა და ქარიშხალს შეერყია ბოგირი. წყალი მაღლა იწევდა, წყალი თხრიდა და აქცევდა, ალიოშკას ჯებირის დანგრევას ემუქრებოდა.

— არღვევს! არღვევს! — წამოიძახა ალიოშამ. — კონტრიკ, მე არ შემი ლია, ჩკენებთან გავიქცევი, შევატყობინებ. მარტოკა წადი!

იგი ჩავიდა გაყინულ წყალში და ხელებით, გალურჯებული ხელებით დაზიანებულ ადგილებს დაუწყო სინჯვა. ამოვიდა და ბანაკისაკენ ყვირილით გაიქცა: „არღვევს! საგუბარს არღვევს!“

ძია ბელომორის ბიჭები ყველანი ერთად წამოხტნენ. თვითონ ძია ბელომორსაც დაეცხიკვა და გამოელვიძა. მას გამოელვიძა და საჩქაროდ კეპი დაიხურა. ბანაკში დაფდ ფეხს უკრავდენ, ბანაკში დიდი განგაში ატყდა. გაშალეს დროშები, გაბრწყინდა პროჟექტორები. აგუგუნდა ორკესტრი.

არხარმიელები იერიშის მისატანად გაექანენ. ისინი მიდიოდენ ჯებირის გადასარჩენად. პირქარი უბერავდა. ქართან ერთად წვიმა ასხამდა. წყალი ნაპირებს ეხეთქებოდა. ყველაზე წინ ძია ბელომორი მიდიოდა თავისი ოცდაკამეტი გმირით.

დამკრეველებმა მთელი ღამე და დღე იმუშავეს. მთელ ღამესა და მთელ დღეს ალიოშა ჯებირიდან არ ჩამოსულა. ცივ წყალში გაცივდა და ახველებდა. ძია ბელომორმა უბრძანა მას შინ წასულიყო. ალიოშკას არ უნდოდა, მაგრამ ის ძალით გაგზავნეს დასაძინებლად. ის დაწვინეს, კართან კი თოფიანი დარაჯი დადგა. ბანაკში პირველად დარაჯობდა ალიოშკას ყარაული. ალიოშკამ თავი მოიმძინარა. როცა ყარაული შებრუნდა, ალიოშკა ფანჯრიდან გადაძვრა და ხელახლა ჯებირზე მიირბინა. არხარმიელებმა წყალი ჯებირიდან გააძევეს. იმათ ნახვრეტები ამოავსეს და ჯებირი გადაარჩინეს.

VI

დადგა დღე, როცა მძიმე ჭიშკარი გაიღო. წყალმა ჯებირებიდან გადმოხეთქა, და უშველებელ წყლის კიბეზე მთიდან ტბა დაეშვა. ზღვები შეერთდა. ბალტიის ზღვიდან არხში პირველმა გემმა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



იარა. წყლის საფეხურებით ის მთაზე ავიდა, შემდეგ თეთრ ზღვაში ჩაეშვა. მას წინ შეეხვედა თეთრი ზღვის პირველი თევზი, რომელიც ბალტიის ზღვაში მიცურავდა.

ეს იყო დიდი დღესასწაული მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის. და ჩეკისტმა მიიწვია მხატვარი გემით ზღვიდან ზღვაში გადასასვლელად. მხატვარი დაპირდა არხის დახატვას.

ისინი მოდიოდენ გემით და გზაში სულ დავობდენ. მხატვარს სწორი ადგილი მოსწონდა, ჩეკისტს კი მთები. მხატვარს უყვარდა ნელი სვლა, ჩეკისტს, კი უბრძანა სრული სვლით წასულიყვნენ. მაგრამ ა, გემი შუა არხში დადგა, დიდ ჯებირთან. მგზავრები ნაპირზე გადმოვიდენ. უცებ მხატვართან მივიდა ვიღაც სუფთად ჩაცმული ახალგაზრდა.

— გამარჯობა, — უთხრა მან გაუბედავად. ვერა მცნობთ? ყოფილი ალიოშკა — რიაზანი. ამ ჯებირს მე ვაკეთებდი. მაპატიეთ, რამდენი მმართებს მე იმ საღებავების... რომელიც მე თქვენ მაშინ... ეს... უცაბედად წავიღე.

— მერე გაუსწორდები, მისი ჩემთან დავა მეტი საფასურისა იყო. — სიცილით უთხრა ჩეკისტმა-უფროსმა. — აბა, ძია ბელომორ, გვიჩვენე, როგორ მუშობს შენი ჯებირი.

— მზად ვარ, ამხანაგო უფროსო, — უპასუხა ძია ბელომორმა. — აბა, ალიოშა, შეაჩერე მდინარე!

ალიოშა ჯებირზე ავიდა. მან ჩარხი გადააბრუნა, და მდინარე მაშინვე გაჩერდა. მდინარის დენა შეწყდა, გამოჩნდა ქვის იატაკი.

— ალიოშა, აბა მოლად აუშვი ის.

და ალიოშამ მდინარე გაათავისუფლა. მდინარემ იხეთქა და აღრიალდა. ქუხილით გადმოეშვენ უზარმაზარი ჩანჩქერები, ამოჩუხჩუხდენ შადრევნები. ჯებირის ფარების ქვემოდან ცემდა ქეული, შხეფები, ციცარტყელები. მზე აფერადებდა წყლის მტვერს ათას ფერად.

— ახ, თქვენ კიდევ მეკითხებით, ჩემი რამდენი გმართებთ? — უთხრა მხატვარმა. — თქვენ წაიღეთ ჩემგან მარტო ორი საღებავი, მაჩუქეთ კი ახალი ათასები. არა, მე არა ვტირი! ეს შადრევნის შხეფები შემრჩა წამწამებზე. მე მინდა თქვენი სურათი დავხატო, ამხანაგო ალექსი, ბნელი ტყეებიც, იისფერი ლ ლ ებიც, შავი გრანიტიც, რუხი წყლებიც და თქვენი წითელი, წითელი ორდენიც!

გემმა დაიყვირა. მგზავრები აჩქარდენ. ალიოშა ჩეკისტ უფროსთან მივიდა.

— ამხანაგო უფროსო! — უთხრა ალიოშამ. — ამას წინათ ჩვენ ამხანაგ სტალინს დეპეშა გავუგზავნეთ, რომ

ირხი გათავებულია და ძ

სახელი ჰქვია, ზოგან კი დეპეშის გაგზავნა დაგვავიწყდა. გაგზანეთ საზღვარგარეთ.

— საზღვარგარეთ? — გაუკვირდა უფროსს.— ვის გავუგზავნოთ?

— შვეციისა და ნორვეგიის მეფეს,—უპასუხა ალიოშამ და თავისი დეპეშა წაუკითხა.

„მოქალაქე, მეფეებო და ქვეყნების გამგეებო,— კითხულობდა ის.—გაცნობებთ, რომ თქვენ ახლა მთლიან კუნძულზე ცხოვრობთ, და არა ნახევარკუნძულზე.

ბელომორის ბრიგადისაგან. ყოფილი ნახევარკაცი, ახლა კი სრული კაცი, წითელდროშოვანი ალექსი რიაზანი“.



მოვისვენე. არ მაწუხებს
ხანძარი და მტვერი მიწის.
უნდა გითხრათ, ამ ქალაქმა
შემოდგომა კარგი იცის.
ცა სინაზით იხედება,
თვალები აქვს ღია ლილის,
სიმკვირცხლეა, და დღეები
არის სუფთა, არის გრილი.
ეს ამინდი, ეს ხალისი
იქნებოდეს, ნეტავ, დიდხანს,
თორემ ზამთრის კვირეები
თავისებურ ძალას იხმარს.
ღრუბლებიდან თოვლის ფიფქებს
ჩამოგვაყრის თავზე ხუხვად,
ისუსხებს, და მერე კაცი
ვერ წაუხვალ ცეცხლს და ბუხარს.
დღეს სხვა არის...
დღეს მნათობი
მორიდებით უმზერს ტფილისს.
სიმკვირცხლეა, და დღეები
არის სუფთა, არის გრილი.
მოსწავლეთა ერიამულიც
მიმზიდველი არის რაღაც...
ახლა მართლაც შეიძლება
შეითვისო წიგნი საღად.

საამოა მზის ამოსვლა,
დღე ჩამოჰგავს ვაშლის ღიმილს.
სიმწიფეა, და ქუჩებშიც
სოფლებიდან მოდის ხილი.
ხილი მწიფე, მოსაწონი...
მიიღებ და გემოს ატან.
მადას გაძლევს, როცა ხედავ
ლოყაწითელ გორის ატამს.
გულს გიხარებს ბაზრის თვალი,
რას არ ნახავ, რას არ უმზერ:
ქარვებივით დიდ გობებზე
მზე აცინებს განჯის ყურძენს!
და სპარსელი მხიარული
რუხ ქაღალდის პარკებს აკეთებს,
აძლევს მუშტრებს, და მუშტრებიც
ფულს უთვლიან დინჯად სპარსელს.
არის ღვინო, არის პური,
ლოზუნგები ფარდულს ამკობს,
იქვე ახლო მოსავალზე
კოლმეურნე ლაპარაკობს.
დიდი არის მოძრაობა,
სინოყიერე მოჩანს მიწის.
უნდა გითხრათ, ამ ქალაქმა
შემოდგომა კარგი იცის!

გიორგი კაფანიძე

მწყემსი ალდი თავისი მომღიმარი თვალებით ფანტაზიებს ფრენდა წვიმისაგან დახრულ ფერდობებს. გაბეზარებული საქონელი საიალაღოებს შესცოდა.

ალდი ცელქია, ალდი სიცოცხლეა!

ცხვრის კუნტრუშა კარავები ბღავიან. ნესტიანი დღეა.

— ევდოკიმე! ევდოკიმე! შთალას გაღმა მოექცა ბოგი! უშველე მალე, თორემ მგლები არ დაზოგავენ... ეს ეს პირლეშინი მსუნაგები ამ უღრან ხევებში ამდენი არიან! მეტადრე მაშინ, როდესაც შემოდგომის სუნი დაკრავს!

ალდი წამოდგა, ჩამოფხატული ქუდი აიწია და ფანჯარასავლეთით ჩაჩეხილ ხეობებს გადახედა. ის მესაქონლეა, ენერგიული ბიჭი, მთელი სოფელი იცნობს ალდს. იცით, ვინ არის ალდი? ჩაბუტკუნებული ხბოების მეთაური. მას პატარა მოზვერები ისე უყვარს, როგორც საკუთარი თავი. ფერმის ძროხები ნოყიერ უფთხილდება. პატარა მწყემსი გმირული თავდადებით გადარჩის ჯუთხარის საიალაღოებზე.

სეპარატორი გასაუფთავეს. ალდიმ მდინარე შთალიდან ცივი წყალი მოიტანა, პატარა ჩოხის ეკლიანებში ქამარში ჩაიკეცა და საჩეხელში შერეკილ ძროხებში შეიჭრა, მარდად გაძვრა „თედუნიების“ (ასე ეძახისალდი ძროხებს) ფეხებქვეშ, დატენილი ცურები დაბანა და დაიწყო წველა. რძე ვედროში აშრიალდა, აქაფდა. მოწველა ათი ძროხა, გაამზადა სეპერატორისათვის. ყველაფერი მზად არის.

— ევდოკიმე, გესმის!

— რა გინდა, ბიჭო? — წაულაპარაკა შუახნის ევდოკიმემ, და ჩამოშვებული გრძელი ულვაშები გაისწორა.

— ძია, იცი რა გითხრა! ხომ იცი, ეს სეპარატორი საიდან მოიტანეს?!

— ვიცი.

— ჰოდა, მაგრე რომ აბრუნებ, გაფუჭდება, სეპარატორი ჩვენი სიცოცხლეა, ეგ რძეს ახარისხებს, აკეთებს იმას, რაც ქვეყანას უნდა...

და ალდი მივარდა მანქანას, დაიწყო მუშაობა.

ევდოკიმეს გაეღიმა.

ყველას უყვარს მთიელი ალდი, ყოფილი ალი ახმედ-ოღლის მწყემსი, მოჯამაგირე. ის ახლა ფერმის დამკვრელია.

რა ცოცხალი, დაუდალავი ბიჭუნაა!

ღამდებოდა.

ხევებში კუპრივით ღამე გაიშხვართა. ფერმის ნახირი მორეკეს. დათვალეს. ეს რა ამბავია? სად არის ბუღა, სად არის ჯუთხაროს საიალაღოების სიმაყე?

ალდი შეკრთა და თემურს თვალი გაუსწორა.

— სად არის ბუღა? ყოველთვის ზარმაცობ, გუშინწინ მგლებს ხბო შეაჭამე, ეს როგორ შეიძლება! წახვალ, ბიძია თემურ, ჩამოჯდები ქვაზე, დაგეძინება, და საქონელი კი სად არის, ვინ იცის... ახლა?..

თემურმა ჩვეულებრივ დაიწყო:

— რა ვუყო მე, მოუსვენარია...

თემური ზარმაც მწყემსად იყო მინნეული.

მძინარას ეძახდენ მას. ფერმის ქვიტკირის შენობის წინ ლაპარაკი შეიქნა. ყველა ბუღაზე მსჯელობდა. ალდიმ თავისი საწოლიდან ვერცხლით მოქედილი ხანჯალი ამოიღო.

— მივდივარ.

— საით?

წამოიხედა ევდოკიმემ.

— საძებნელად!

მეტი არაფერი უთქვამს ალდის, მიიხუცა კარი. ...ემრობა ხომ არ არის ბუღა, მერე, იცით, ვისი? ჯუთხა...ის ფერმის! რას ეტყვიან მას სოფელში? რას ეტყვიან ...ციონში? „მძინარას“ მიანდეთო? არა, ალდი უნდა წა...დეს საძებრად, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს!

ევდოკიმე გამოედევნა:

— ე, ბიჭო! სად მიხვალ მარტო ამ ყორნის ...რთასავით ღამეში! ხომ იცი, რა მგლობაა!

— მერე, იმიტომ დატოვეთ ბუღა?

— მოიცა, მეც მოვდივარ!

ევდოკიმემ თოფი გადაიკიდა. წავიდენ საძებრად.

ალდიმ ყურა, თავისი საყვარელი მურია წაიყ...ნა.

აუდგა დაკიდებულ ფერდობს.

ევდოკიმე სხვა გზით ჩაიჭრა ხევში.

ალდი მიდის. შავი ღამე ბუჩქებიდან მწვერვა...ებსაც გაეკრა. ყურა წინ მიდის, მიკუნცულებს. ალ...ი ხანგამოშვებით შეჩერდება, ყურს უგდებს ფაჩა...ურს, ხანდახან კი წამოიძახებს:

— გიშერა, გიშე...რა...ა...

უცებ ძაღლი შეჩერდა, აწკუტუნდა და ღამეში ...ინთქა. ალდი გაშტერდა. ყურა მგელს შეება. ალ...დი მიიჭრა და დიდი კეტი დასთხლიმა. ხმაურზე ბალ...ჩქები შეირხა... ეს რა ამბავია? ამას რა გადარჩება! დათვი? ალდიმ ხანჯალი გაიძრო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ არ მოდის მისკენ? გული აუფრთხიალ...და... ან ყურა სად გაიქცა?

ალდი გაშტერებული იდგა.

აგერ ყურა მოიჭრა მასთან. მიუალერსა. ნუთუ ძაღლი ვერ ხედავს დათვს?

— ეცი, ყურა! — მიუთითა ბუჩქებში გახევებულ ლანდისაკენ. კაცის ხმაზე ბუღამ დაიზმუვლა.

ალდი სიხარულისაგან ათრთოლდა.

— ბუღა! — და უმალვე მიიჭრა ბუღასთან. საქონელი არ განძრეულა: იცნო პატრონი.

ალდიმ ხელი გადაუსვა საყვარელ ბუღას გასიესივებულ ზურგზე, კისერზე მოეხვია. ყურა, ალდი და ბუღა ფერდობისაკენ წამოვიდენ. მინდორში შეჩერდა, უბიდან სალამური ამოიღო და თავისიანების შესატყობინებლად „ჩიტუნების სიმღერა“ ააწკრიალა. სალამურის ხმა შორს, მიუვალ კონტეხებში ისმოდა.

— ბიძია ევდოკიმე! ბუღა ვიპოვე, ააა...

ევდოკიმემ ჩაიცინა და ჩიბუხი გააჩაღა.

ალდი მოდის საჩეხისკენ და უხარია.

ყურა წინ მოკუნცულებს.

გამძღარი ბუღა ნელა მოაბიჯებს.

მოდის თვრების სიმამაცე!

მოდის ალდი და მოარღვევს მუხლებამდის ალოროთქილ ნოყიერ ბალახს...

ნ. ძ.

შევაერთოთ კასპიის ზღვა... ატლანტის ოკეანესთან

...დასრულდა ბალტიისა და თეთრი ზღვის არხი, გაკეთ...ა მეტად რთული საქმე, ერთხელ კიდევ გამართლ...ა ბელაკის სიტყვები, რომ „არ არის ისეთი ციხე-სი...ტრე, რომლის აღებაც არ შეეძლოთ ბოლშევიკებს“. გი...ანტური ნაბიჯებით მიდის წინ მუშურ-გლეხური ქვეყა...ნა რეკონსტრუქცია, მიღწევებს მიღწევები მისდევს, და ...ბჭოთა კავშირის მეცნიერული აზრიც ახალ-ახალ პრო...ექტებს აყენებს მშრომელთა კეთილდღეობის გასაუმჯო...სებელ-გასაღრმავებლად. დღეს უკვე რიგში დგება ერ...ი ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის გადა...ჭრაც მეტად დიდ შედეგს მისცემს ჩვენს ქვეყანას. რას წარ...მოადგენს ის? ეს არის ე. წ. **მანიჩების პრობლემა**. მდი...ნარეები დასავლეთის მანიჩი და აღმოსავლეთის მანიჩი ...დიდო კავკასიაშია, არის იმის დამადასტურებელი ფაქ...ტები, რომ შორეულ წარსულში კასპიის ზღვა შეერთე...ული იყო აზოვის ზღვასთან, მაგრამ შემდეგ, გეოლოგიურ ...ცვლენათა გამო, კასპიის ზღვის დონემ დაიწია, და გაქ...რა ის ფართო არხიც, რომელიც აერთებდა ამ ორ ზღვას.

ამ არხიდან დღეს დარჩენილია მხოლოდ მდინარეები და...სავლეთის მანიჩი, აღმოსავლეთის მანიჩი და რამდენიმე მარილოვანი ტბა.

1932 წლის მაისში საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მანიჩის პრობლემის დამუშავება, შედგა აზოვო-კასპიის არხის საპროექტო ბიურო და შეუდგენ მუშაობას. დიდი მუშაობა ჩატარდა და შეჯგა რამდენიმე პროექტი.

ერთერთი პროექტის მიხედვით, უნდა გაიჭრას 617 კილომეტრის სიგრძე არხი, ე. წ. მანიჩის არხი, რომელიც შეაერთებს ზემოაღნიშნულ ორ ზღვას. რამდენად გრანდიოზულია ეს პროექტი, ჩანს იქიდან, რომ მსოფლიოში უდიდესი სუეცის არხი მხოლოდ 161 კილომეტრია, პანამის არხი კი — 81 კილომეტრი. საიდან უნდა მივაწოდოთ წყალი ამ არხს? ამისათვის ყველაზე უმჯობესია მდ. თერგის წყლის გამოყენება, მაგრამ როგორ? ამისათვის უნდა გაკეთდეს დამხმარე თერგ-მანიჩის არხი, სიგრძით... 243 კილომეტრი. ამ არხს დაქანება ექნება, და წყალი

ოთითონ წყვა მანიჩის არხისაკენ, მაგრამ რადგან დაქანებულ წყალს დიდი ძალა აქვს, თერგ-მანიჩის არხზე მოეწყობა რამდენიმე მძლავრი ჰიდროელსადგური. რა ეღირება ამ ორი ხლეის შეერთება მანიჩის არითან? ის დაჯდება 349 მილიონი მანეთი, მაგრამ მეტისმეტად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება მას. ამ არხის მეოხებით კასპიის ზღვის ხომალდები შავ ზღვაშიც გავა. საერთოდ, ტრანსპორტის მხრივ მას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩრდილო კავკასიისათვის, უკრაინისთვის, ამიერკავკასიისა და ქვეყნ ვოლგისათვის. უდიდესი მნიშვნელობა ექნება მას ნავთის გადაზიდვისათვის: ბაქოდან ბათუმამდის ნათესადენით თითოეული ტონა ნავთის გადატუმბვა 4 მ. 17 კაპ. ჯდება, მანიჩის არხით კი ის 2 მ. 50 კაპ. გადაიზიდება. ამ არხით შეძოიზიდება ტყვარჩელის ქვანახშარი ამიერკავკასიაში, გაიზიდება ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. 1937 წლისათვის ამიერკავკასიის რკინისგზები მთლად ერთიანად გაქედილი იქნება სხვადასხვაგვარი ტვირთით — ამის თავდებია მეურნეობის განვითარების ტემპები, და ეს რკინისგზები მანიჩის არხმა უნდა განტვირთოს.

მანიჩის არსით გაიზიდება ქვეყნ ვოლგიდან ტვირთი ახოვის ზღვაში, უკრაინის სასოფლო სამეურნეო პროდუქტები შუა აზიაში, გამოიზიდება საქონელი კაზაკსტანიდან.

ექნება თუ არა ამ არხს მნიშვნელობა სხვა ქვეყნებისათვისაც? დიახ, ევროპის ბაზრებზე ამ არხით ფ. ვი საონელი ჩრდილო სპარსეთიდან, ჩრდილოეთ ავღანისტანიდან, დასავლეთ ჩინეთიდან და მონგოლეთიდან, ვინაიდან ამ გზით გადაზიდვა უფრო იაფი დაჯდება.

გეგმის მიხედვით, ამ არხის საერთო საქონელბრუნვა მისი გახსნის პირველ წლებში 12 700 000 ტონა, ხოლო 1942 წელს კი — 20 308 000 ტონა. შესადარებლად ვიხსენოთ, რომ 1869 წელს გახსნილი სუეცის არხის ქონელბრუნვა 1930 წელს, ე. ი. გახსნიდან 60 წლის სვლის შემდეგ, მხოლოდ 28 მილიონ ტონას უდრიდა. შასადამე, მანიჩის არხი ხუთი წლის განმავლობაში მსოფლიოს უდიდეს საზღვაო არხთა რიგებში ჩადგება თავისი გრანდიოზული საქონელბრუნვით.

უდიდესი მნიშვნელობა ექნება მანიჩის საზღვაო არხ მანიჩის რაიონში სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის. ეს რაიონი აჩქამად ჩრდილოეთ კავკასიის ერთერთი ყველაზე უფრო გვალვიანი და მცირემოსახლეობიანი რაიონია. ამ არხის გაყვანის შემდეგ შესაძლო იქნება დღეს გადამხმარი 500 000 ჰექტარი მიწის მორწყვა, და ამისათვის საკმაო იქნება თერგის წყალი, ხოლო როდესაც ყუბანისა და დონის წყალსაც გამოიყენებენ (ესეც გთავალისწინებულია პროექტით), მაშინ მოირწყვის... 2 მილიონი ჰექტარი. ეს კი მოგვცემს 2 114 000 ტონა ხორაბლს, 56 000 ტონა ბამბას, 57 000 ტ. ბრინჯს, 214 000 ტ. ხორცის პროდუქტებს. მორწყულ ადგილებზე საბჭოთა მეურნეობათა მოსაწყობად დაიხარჯება 403 მილ. მანეთი.

არხს დაეკისრება არა მხოლოდ ტვირთის გადაზიდვა, გადმოზიდვა და მიწის რწყვა, არამედ ელექტრობის მოცემაც.


ტაგანროგი
როსტოვი
ბერდიანსკი
დონი
სალი
ვოლგა
ზ. მანიჩი
ელისტა
ასტრახანი
ყუბანი
ბ. მანიჩი
ეკატერინოდარი
ბაკოვიჩი
ტიხორეცკაია
ტუაფსე
ბაკოვი
ზ. ბაკოვ
ბ. ბაკოვ
ბ. ბაკ
ბ. ბ
ბ. ბ
ბ. ბ

არხისათვის წყალი უნდა აიღონ ზღვის დონიდან 168 იმალლეზე და დაუშვან ის 26 მ. სიიაღლემდის, ამის ი მოწყობილ იქნება უზარმაზარი წყალსაცავები და ლსადგური. ეს ელსადგურები 59 მილიონ კილოვატ-ი ენერგიას მოგვცემს და დაჯდება 39½ მილ. მანეთი. მიტს არა-ფერს მოგვცემს მანიჩის არხი? თვეზე? განა ჩანს ვეებერთელა წყალსაცავები უთვეზოდ იქნება? რა-ვერ ვეღია, არხი ძალიან ხელსაყრელ პირობებს შე-ანის მეთვეზეობისათვის. საკმარისია ვთქვათ, რომ მისი ერთი წყალსაცავი 33 მილიარდ სამრეწველო თვეზს ალიტვებს. აქ მეთვეზეობა ზღაურად მოგვცემს 8 — 10 მი-ლიონ მანეთს.

ბოლშევიკები ქმნიან თავის გეოგრაფიას, ისინი სახეს უცვლიან მიწის ზედაპირს, კალაპოტს უცვლიან მდინა-რეებს, გადამბმარ ველებს მწვანედ მოლაღაგებ წალკოტად აქცევენ, ერთიგებენ საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთთან გამუტულ ზღვებს, უკიდურეს ჩრდილოეთში, ციმბირის სამეფოში აჩაღებენ მრეწველობას, და ააყვავებენ, ... გადახრუკულ მანიჩის რაიონსაც. კასპიის ზღვა ხელს გა-უწვდის აზოვის ზღვას, კასპიის ზღვა დაუკავშირდება ატ-ლანტის ოკეანეს.

„შევაერთოთ კასპიის ზღვა ატლანტის ოკეანესთან". გადავჭრათ „მანიჩის პრობლემა" — ეს უნდა გახდეს მეო-რე სოციალისტური ხუთწლედის ერთერთ ძირითად ამოცანად, და ეს „ციხე-სიმაგრეც" აღებულ იქნება, 617 კილომეტრზე გადაიკიმება მანიჩის არხი...

ზ. თ—ლი.

რა უცნაური ცხოველეგია!

აკივდა. ცას თალხი ეცვა და ცრემლებს ვერ აკავებდა გადაცვლილი ზაფხულის მოგონებაზე. სა-ლამოობით უკვე ცეცხლს ანთებდენ, და სასიამოვნო იყო თბილ ოთახში ყოფნა. შავი ღამე იცქირებოდა ფანჯრებიდან, და ხანდახან ქარიც დაუპატიჟებელ მოურიდებელ სტუმარივით აწვებოდა კარს თუ ფან-ჯარას.

სამოვარმა უკვე მოიხადა თავისი ვალი: დიდებ-მაც და ბავშვებმაც დალიეს ჩაი, და მამამ რუსული ჟურნალის კითხვა დაიწყო. დინჯი ნელიც წიგნს მიუჯდა. დედა გაზეთს ათვალიერებდა, ცელქი რეზო კი ვერ ისვენებდა და ხან რას ეკითხა, ხან რას, ბოლოს კი პატეფონი დაუკრა, და გაისმა „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია"...

— ბიჭო, ყველაფერს თავისი დრო აქვს, ახა-ლა დროს პატეფონი; ხომ ხედავ, ჩვენ ვკითხულობთ, დათიკო ჰაეროპლანის მოდელს აკეთებს, მოდი, შენც წყნარად დაჯექი და აკეთე რამე, — უთხრა დედამ რე-ზოს.

— რა ვაკეთო, რა?

— დაჯექი და დახატე რამ, სულ ხომ არ უნდა იცელქო!

— კარგი. რა დავხატო? მოდი, ნელის დავხატავ!

და შეუდგა ხატვას, მაგრამ ხელები უფრო დიდი გამოუვიდა, ვიდრე ფეხები, და ცალი ყურიც შუა ლოყაზე იყო დახატული, თავი ხომ... თავი იმხელა გაუკეთა, რამოდენაც ტანი.

— ნელი, ნელი, აი შენი სურათი! — და აკისკის-და ბიჭუნა, მამა კი გულმოდგინედ კითხულობდა ჟურნალს.

— მამიკო, შეხედე, რა დავხატე! — და გაუშვირა თავისი ნახატი, მაგრამ ამ დროს თვალი მოჰკრა მა-მის ჟურნალში დახატულ რაღაც უცნაურ ცხოველს და გაოცებულმა წამოიყვირა:

— ეს რა არის? ვუი, დედა, რამხელა კისერი აქვს!

ნელიმაც დახედა ნახატს და სახეზე იმასაც გა-ოცება გამოეხატა.

— მართლა რა არის, მამა, ეს, რა უცნაურია! — თქვა მან და ამ დროს დათიკომაც თვალები დაპ-ყიტა სურათს, შემდეგ კი ხელი ჩაიქნია და თქვა:

— ეჰ, ზღაპარია, მეც რაღაცა მეგონა!

მამამ შეხედა შვილებს, გაიღიმა და მიუგო:

— არა, ბავშვებო, ზღაპარი კი არა, ნამდვილი ამ-ბავია. აქ დახატული ცხოველები მართლა იყვნენ, მაგრამ ახლა კი აღარ არიან. ისინი დიდი, დიდი ხნის წინათ ცხოვრობდენ, მერე კი სულ ამოწყდენ, გადაშენდენ...

ბავშვები თანდათან დაინტერესდენ და უკვე აღარ მოეშვენ მამას — გვიამბე და გვიამბეო, და ისიც დათანხმდა...

* * *

— ამ ზაფხულს, მე რომ ლენინგრადში ვიყავი მივლინებული, დაიწყო მამამ, — აი იქ არის ზოოლო-გიური ბაღი, სადაც ათასნაირი ცხოველი და ფრინ-ველია, რომლებიც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ. მაგრამ როგორ გგონიათ, ყოველთვის ამნაირი ცხოველები და ფრინველები იყო დედამი-წაზე? არა, წინათ, რამდენიმე ასიათასი თუ მილიონი წლების წინ სულ სხვანაირები იყვნენ ისინი და მაშინ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცარცის ხანა. ცერატოფსავრები თავს ესხმიან ბრონტოფსავრს.

ცხოვრების პირობებიც სხვანაირი ჰქონდათ. ზოგიერთი მათგანი უკეთ შეეგუა პირობებს და დიდხანს გაძლო, ზოგი მოკლებული იყო თავდაცვის უნარს, თავის ცხოვრებას ისე ვერ აწყობდა, როგორც საჭირო იყო, და იღუპებოდა. ძლიერები, ღონიერები, ცხოვრების პირობებთან შეგუებულნი ძლებდენ, მრავლდებოდენ, ხოლო სუსტები, პირობებთან შეუგუებელნი ნადგურდებოდენ, წყდებოდენ...

ბავშვები სულგანაბული უსმენდენ მამას, მხოლოდ რეზო კი მაინც ვერ ისვენებდა, რადგან მისთვის ბევრი რამ იყო გაუგებარი, რასაც მამა ამბობდა.

მამამ განაგრძო.

— წინათ სკოლებში ასწავლიდენ: ღმერთმა გააჩინა ქვეყანა შვიდ დღეში, მან გააჩინა ყველაფერი, სულ ბოლოს კი, მეშვიდე დღეს—ადამიანი. რასაკვირველია, ეს სულელური ზღაპარია და მეტი არაფერი. ლენინგრადში ზოოლოგიურ ბაღთან არის მოწყობილი გამოფენა—პანორამა: „როგორ გაჩნდენ ცხოველები". ეს გამოფენა ძალიან საინტერესოა, იქ ნათლად დაინახავს ადამიანი, რომდენად ატყუებდა სამღვდელოება ხალხს, როდესაც ამბობდა ღმერთმა გააჩინა ყველაფერი შვიდ დღეშიო.

იცით თუ არა, ბავშვებო, რომ ადამიანი ქმნის ახალ-ახალ მცენარეებს, ცხოველებს. ადამიანმა ბევრი სასარგებლო მცენარე შექმნა, ბევრი ახალი ჯიშის, ახალი სახის ცხოველი გამოიყვანა, და ლენინგრადის ზოობაღის გამოფენაზეც აწერია: „სრული სიცრუეა, თითქოს ცოცხალი არსებები ღვთის მიერაა შექმნილი".

ამ გამოფენის ერთი ნაწილი ასეთია: შედიხართ ბნელ ოთახში და ხედავთ—„დედამიწა სიცოცხლის გაჩენამდის". მაშასადამე, იყო დრო, როდესაც დედამიწაზე არცერთი ცოცხალი არსება არ იყო. რას ხედავთ აქ თქვენ? დახატულია წყალი, რომელსაც დიდი სივრცე უჭირავს. ავდარია. შორს მოჩანს ცეცხლმფრქვევი მთა, ვულკანი, წინ—უზარმაზარი ლოდები. ვულკანის ამოფრქვევა ანათებს ხეობას, ლოდებს. არც მცენარეულობაა, არც ცხოველები. შემდეგ თანდათანობით შეიქმნა ისეთი პირობები, რომ ცოცხალი არსებაც უნდა გაჩენილიყო.

სიცოცხლე პირველად წყალში გაჩნდა. აი ზღვა. დაცურავენ მედუზები, მოჩანს მარჯანი, ზღვის ფსკერზე დახოხავენ უცნაური კიბორები, რომლებმაც ჩვენამდის ვერ მოაღწიეს, ამოწყდენ. ხერხემლიანი ცხოველები ჯერ კიდევ არ გაჩენილან...

აი შემდეგი პანორამა, ე. წ. დევონის ხანა. ხეობა. მთები. შორს მოჩანს წყლითა სავსე დიდი აუზი, რომელშიც ცურავენ უხერხემლო ცხოველები, სიგრძით ორ მეტრამდის. ეს ცხოველებიც ამოწყდენ შემდეგ. აქვე დაცურავენ ჯავშნიანი თევზები. ხერხემალი მათ არა აქვთ. მაგრამ აქვთ გარედან ძვლის ჯავშანი. აი აქვე ე. წ. დიჰტერუსი—თევზი, რომელსაც შეუძლია წყალში სუნთქვაც და ხმელეთზეც. ამჟამადაც არის რამდენიმე სახის ასეთი ცხოველი. დევონის პერიოდშივე გაჩნდა ხმელეთის მცენარეები:



პერმის ხანა. ინოსტრანცევი.

ზოგი მცენარე ნელნელა შეეგუა ხმელეთზე არსებობის პირობებს. ეს მცენარეები ძალიან გავდა წყალმცენარეებს.

შემდეგი პანორამა: ქვანახშირის ხანა. ჭაობი ჭაობში—ღრმა წყალი. ცხელი და ნოტიო ჰაერა. წყლის ორთქლით გაჟღენთილია ჰაერი, და მზე წითლად მოჩანს. აქეთ ულრანი ტყე—გვიმრის ტყე...

— გვიმრის ტყე?!—წამოიძახა დათიკომ.

— ჰო, გვიმრის, მაგრამ ახლანდელ გვიმრას კი არა ჰგვანდა, ეს იყო უზარმაზარი გვიმრის ხეები. ტყდებოდა ეს ხეები, ცვივოდა ჭაობში, დიფარებოდა ლამით, და ბოლოს ისინი ქვანახშირად იქცა..

— ქვანახშირად?—გაფართოებული თვალებით გამიმორა ნელომ.

— ჰო, ქვანახშირად. ამ დროს უკვე იყვნენ ცხოველები, რომლებიც წყალში დებდენ კვერცხს, იქიდან გამოტყდებოდენ მორები, რომლებიც წამოიზრდებოდენ და შემდეგ ხმელეთზე იწყებდენ ცხოვრებას. მწერებიც იყვნენ ამ დროს.

— მამა, ეს უცნაური ცხოველები როდისდა იყვნენ?

— მოიცა, გეტყვით. შემდეგი პერიოდია ე. წ. პერმის პერიოდი. ჰავა მაშინ უფრო მშრალი იყო. კამოფენაზე ხედავთ სილიან უდაბნოს და ქვეწარმავლებს — ინოსტრანცევი.

— ეს რაღაა, მამა, დათვს რომ ჰგავს?

მამას გაეღიმა.

— სწორედ ეგ არის ქვეწარმავალი. დააკვირდი, სურათზე ორი ინოსტრანცევია. კუდს ხედავ? მართალია, ისინი ცხოველების მსგავსი ქვეწარმავალნი იყვნენ და, შესაძლოა, სწორედ ეგენი იყვნენ ახლანდელი ძუძუმწოვარი ცხოველების წინაპრები. გვიმრის ტყეები ამ პერიოდში უკვე ქრებოდა...

— ეს რაღაა, პირი რომ დაუღია და კუდზეა დაბჯენილი? ვაი, რამხელა კუდი აქვს!!

— ეგ არის ტრიასის პერიოდის ცხოველი, საშინელი პლატეოზავრი, ხვლიკების ოჯახიდან.

— ხვლიკების?!—წამოიძახა დათიკომ.

— მაშინ არსებობდენ სხვადასხვა სახის საშინელი ხვლიკები და მათი სახელი იყო დინოზავრი (დინოზავრი, რომ გადაკთარგმნოთ, ნიშნავს: საშინელი ხვლიკები).

პლატეოზავრს წინა ფეხები მოკლე ჰქონდა, უკანა ფეხები გრძელი, კუდი უზარმაზარი, და როდესაც აიყალყვბოდა, კუდზე იყო დაბჯენილი. მისი სიგრძე 6 მეტრს უდრიდა.

აი ეს პანორამა კი იურას პერიოდს გამოხატავს. ხედავთ, ეს ზღვაა. ზღვაში დაცურავენ იხტიოზავრები, რომლებიც ზღვის ღორებს, დელფინებს მოგვაგონებენ.



ეოგენი. სამჩლიქა ჭრელი ცხენები, ანტილოპების ჯოგი, ღორები, მარტორქა; ტბის გაღმა—მასტოდონტი

— ჰო, შვილო, ჰო. მაგრამ კბილები არ ჰქონდა, ბებოდა თევზით...

ი პალეოგენის პერიოდი. სურათზე ხედავ უცუზარმაზარ ცხოველებს—ტიტანოტერიი. ხოველს რქის მსგავსი ორი ამონაზარდი ჰქონდა. როს უკვე აღარ იყვნენ უზარმაზარი ხელიკები, ენ კბილებიანი ფრინველებიც და გაჩნდენ ახდელი ფრინველების მსგავსი ფრინველები, რომიც თანდათან, თაობიდან თაობაში შეეჩვიენ ფრედიდი უზარმაზარი ქვეწარმავალნი გადაშენდენ, ნველები და ცხოველები მოშენდენ, შეეგუენ ვრების პირობებს.

ი ნეოგენის ხანა. მზიანი დღეა. შორს მთები ნს. ტბა. ცხოველები თანამედროვე ცხოველებს ნან. ტბის ნაპირას ანტილოპები ძოვენ ბალახს. ოან ღორები, მარტორქა. ხესთან დგას სამჩლიი ჭრელი ცხენი ჰიპარიონი, ჩვენი ცხენების პარი. ტბის გაღმა არის მასტოდონტი, სპი- წინაპარი. მას ორი წყვილი ეშვი ჰქონდა.

და ბოლოს ვხედავთ ყინულოვან პერიოდს. ართან დგას მამონტი—თანამედროვე სპილო- ნათესავი. ეშვები მას მოღუნული აქვს, თვითონ ბალნითაა დაფარული...

ი, რამდენი ცვლილება მოხდა მილიონი წლემანძილზე, რამდენნაირი ქვეწარმავალი, ცხოველი ფრინველი გადაშენდა, მათი ადგილი კი სხვებმა ირეს. ახლაც ადამიანი ახერხებს სხვადასხვა სახეს ცხოველების შეჯვარებით ახალი სახის ცხოველების გამოყვანას, და სასაცილოა საღვთო წერილის ზღაპარი, თითქოს!... ღმერთმა შექმნა ქვეყნიერება შვიდღეში!

— მამა, რა საინტერესო იქნება ამ გამოფენის ნახვა! – აღტაცებით წარმოთქვა ნელიმ.

— იქნება თქვენმა მასწავლებელმა კიდეც მოაწყოს ექსკურსია ლენინგრადში, და მაშინ შენც ნახავ. წელს ხომ იყვნენ თქვენი სკოლიდან საექსკურსიოდ...

— კი, მამა, კი, იყვნენ და იქნებ მართლა მოეწყოს! ოჰ, რა კარგი იქნება!—ვერ ისვენებდა ნელი, და დათიკოსაც ცნობისმოყვარეობის ნაპერწკლები უხტოდა თვალებში.

— კი, მაგრამ საიდან ვიცით, რომ ყველაფერი ეს ასე იყო? ეს ხომ მილიონი წლების ამბავია, როგორც შენ თქვი.

— საიდან და ძვლებია ნაპოვნი, ამ ქვეწარმავალების, ცხოველებისა და ფრინველების ძვლები, ზოგის კი, როგორც, მაგალითად, მამონტის, სხეულიც...

— ხორცი რამდენიმე დღეში ფუჭდება და მკვდარმა მამონტმა ასეთასი წლობით გაძლო?

— ყინულში ნახეს, შვილო, ყინულში შენახულა...

— ხხხ! – მოისმა ამ დროს რეზოს ხვრინვა.

— ხომ ხედავთ, რეზო უკვე მუსიკას უკრავს, მოიბრძანდით, დაიძინეთო,—სიცილით თქვა მამამ, – გეყოფათ, ზოგიც შემდეგ იყოს...

ტრიასის პერიოდი. უკანა ფეხებზე დგას პლატეოზავრი.

*
* *

ეიძინა ოჯახმა. მიყუჩდა ქალაქი, მხოლოდ ელ-
ურები აპარპალებდენ თვალებს, რომ არ ჩასძი-
ოდათ და ღამის შავი საშინელება მუხანათურად
ასწოლოდა თავს მძინარ ქალაქს. ეძინებათ ელნა-

საც, მაგრამ მაინც ფეხზლობენ, ებრძვიან ძილს
აპარპალებენ თვალებს, სდარაჯობენ მშრომელთა
ურნავს რეზო, გაღიმებული სახით სძინავს ნე-
და ხედავს სიზმრად, თითქოს მიჭრის ლენინ-
აკენ და მალე ნახავს საოცნებო გამოფენას...

— ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ! — ფეხზლობს საათი; ნელის
კი ეს მატარებლის თვლების ხმაური ჰგონია, და იღი-
მება მეოცნებე გოგონა.

დათიკო? დათიკო ბორგავს, ვერ ისვენებს, სიზ-
მრად შეჰბმია საშინელ ხელიკს, რომელსაც უზარ-
მაზარი კუდი აქვს, შორიდან კი პირდაღებული მო-
ბობღავს დათვის მსგავსი საშინელება...

მიყუჩდა ქალაქი. ელნათურები კვლავ აპარპალე-
ბენ თვალებს...

სარედაქციო კოლეგია: ა. გველესიანი, აკ. რეხვიაშვილი (პ/მ. რედაქტორი), ა. ჯანკიევი, ლავრ. ჯიჯინაძე (პ/მ. მდივანი), შ. თაბაშ-კაშვილი, შ. სიხარულიძე, ბოკრის ჩხეიძე და მ. თოდუაძე.

ფშ ს. კ. პ/ტრესტის 1-ლი სტამბა. ტირაჟი—25000 მთავლიტ. რწმუნებული—ა-1272. შეკვ. № 2026.

ფასი 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო
კომისარიატის ჟურნალი გამოშვებათვის

წელიწადი VIII „პიონერი“ წელიწადი VIII

გამოდის თვეში ერთხელ

ყოველმა პიონერმა უნდა გამოიწეროს

ჟურ. „პიონერი“

ჟურნალ „პიონერი“-ს 1934 წლის კრებულ ნომერში
დაიბეჭდება საინტერესო მოთხრობები, ლექსები და პიეს

ჟურ. „პიონერი“-ს ერდაქც